# ცნობის ფურცელი

## სურათებიანი დამატება

МУЗЕЙ РЕВОЛЮЦИИ ГРУЗИИ

დამატების № 300. კვირა, 20 მარტი 1905 წ. გაზეთის № 2776.

*
* *

დიდი ხანია თავ-დახრილი მე შენ შეგცქერი!

შენ ვის?

ისევ ჩემს ღვიძლსა ძმასა და შემოგყურებ.

ჯერეთ ორივე გავჩნდით ერთად, ერთის დედისგან; ბუნებამ შეგვქმნა, ორივენი ურთიერთის მგზავსად...

და რომ მოგვშივდა, რომ წავედით საჭმლის საშოვრად, ორივემ თითქოს მოვიპოვეთ ჩვენ ჩვენი წილი.

მაგრამ შენ დაგყვა გული ხარბი და კუჭი ფართო, უცბად ჩასანსლე ნაშოვარი და მონაგარი.

გვერდზე მიწევი **გამაძღარი** და... გაზარმაცდი.

როს კვლავ მოგშივდა, დაგეზარა ჩემთან წამოსვლა,

ტკბილის ენითა შემომიჩნდი და დამავალე, რომ შენი წილიც მომეტანა, მომენადირნა.

გულ-უბრყვილობით ვქმენი ესე და შენც გაგიტკბა...

შენ მერე მუდამ გვერდზე იწექ, მე ვმუშაობდი...

ან კიდევ სუსტსა მომერიე და შენი ტყვე მქმენ. მერეკებოდი, შენთვისაც რომ მე მემუშავნა!

ასე ამ გვარად დაიბადა: სუსტი, ძლიერი.

მერე რა და რად არ მომნათლე, რა არ დამარქვი!

ჯერ **მონა** ვიყავ სულიერი, ვითომ უსულო.

მერე **ყმად** ვიქეც, ბევრი სული არც მაშინ მქონდა!!

შენ მაინც მაშინ ასე ბჭობდი, ასე ფიქრობდი!

ეხლა მეძახი— **მუშა** ხარო, სულიც გიდგას. მწამს, რომ კაცი ხარ და კაცური გინდა მოპყრობა.

მაგრამ რა შორს არს შენი სიტყვა და შენი საქმე!

რაც იყო თავში, ბოლოშიაც იგივე დარჩა.

ერთკენ კვლავ ისევ ძლიერია, აქეთკენ სუსტი.

სახელი სცვალე, სახრავი კი ისევ შენია.

ეს არის მთელი ისტორია შენი და ჩემი.

მხოლოდ იცვალა ერთი რამეც... თუმცა არც ცვლილა!

იმ თავიდანვე ჩემშიც იყო უკვდავი სული და ის ვერ მოჰკალ, ვერ დაღუპე, გაანადგურე.

ისიც იზარდა და ეხლა შენ... პირში შეგყურებს.

არ დგას თავ-დახრით... დიდ ხანს იდგა... ეხლა თხოულობს მეტად ცოტას, მხოლოდ ანგარიშს.

და მითქვამს შენთვის, გეშინოდეს ამ ანგარიშის!

თუმცა თავიდანვე არ მიყვარდა კვეხნა-ქადილი; არც მიყვარს კაცის, სულიერის ტანჯვა წვალება!

მოგივა ის, რომ მოესწრები იმ დღეს **საზაროს, როს** სულ ყოველგან დამყარდება **თანასწორობა**·

და ეს იქმნება სასტიკი რამ შენი სასჯელი!!

**შალვა დადიანი.**

## ერთის საათის გულისათვის

მოთხრობა

**არტურ შნიცლერისა**

ყმაწვილ კაცს ეჭირა ახალგაზდა ქალის ხელი და ხარბად დასცქეროდა მის ჩამქრალ, გაფითრებულ სახეს, რომელსაც სიცოცხლის ნიშანი აღარ ეტყობოდა. აი, ერთხელ კიდევ აახილა ქალმა თვალი. ყმაწვილმა იცოდა, რომ თუ კიდევ დახუჭავდა ქალი თვალებს, დახუჭავდა საუკუნოდ.

მომაკვდავს გული საშინლად უღელავს. ჭაბუკი ჰგრძნობს, რომ უკანასკნელად-ღა სუნთქავს. შეშინებულმა ყმაწვილმა იწყო ჩურჩულით ვედრება: „შემარჩინე ეს არსება, ულმობელო სიკვდილო, შემარჩინე! დასტოვე ჩემთან ერთის დღით, ერთის საათით მაინც! ნუ წამართმევ, ნუ გამომაცლი ხელიდან ეხლავე!“

უეცრად სარკმელთან მდგომმა სიკვდილის ანგელოზმა რომელმაც გაიგონა ეს ვედრება, უპასუხა:

— რას თხოულობ ჩემგან? სამი წელიწადია ეგ მეუღლ იყო შენი. რას შეგძენს, რას მოგანიჭებს უკანასკნელი ერთ საათი—შენ სიცოცხლით სავსეს და მაგას სულთმობრძავს?

— ყველაფერს!—შესძახა ჭაბუკმა:—ის სამი წელიწადი ვითომ არც-კი ყოფილა. არასოდეს არ მითქვამს ამისთვის, თუ რამდენად ძლიერია ჩემი სიყვარული. არც შემეძლო მე თქვა, რადგან ეხლა ვიგრძენ სავსებით, როგორ მყვარები აქამდის კი გამოურკვეველი იყო ჩემთვისაც. უნდა გაჰქრეს სამუდამოდ განმშორდეს ისე, რომ არ მოისმინოს, არ შეიტყოს ჩემგან ეს... აი, ამისათვის გევედრები, მაჩუქო ერთი საათით მხოლოდ: გავაგებინო, გავაგონო, რომ მიყვარს. შემდეგ აღარ დაგწყევლი, თუმცა, ჯალათო, მკაცრი და დაუნდობელი ხარ.

სიკვდილის ანგელოზმა უპასუხა:

— თვით მე არ ძალ-მიძს გაჩუქო ეს საათი, რადგან სწორედ იმდენი წონაა სიცოცხლისა გაფანტული დედა-მიწაზე, რომ დაუსრულებელ სივრცეში არაფერი არ არის მეტი და არც ნაკლები. ის, რასაც შენ თხოულობ, შემიძლიან გამოვსთხოვო სხვას, [illegible]ც მაგგვარადვე მხოლოდ ერთი საათი-ღა დარჩენია სიცოცხლე.

ჭაბუკის თვალებში იმედის ნაპერწკალმა გაიელვა.

— ეგ თუ შენ ხელთ არის, მაშ ჩქარა, გაეშურე გზა ნუ აყოვნებ!

მაგრამ სიკვდილის ანგელოზმა თავის შერხევით მიუგ

— ნურაფრისა ნუ გეშინიან. სანამ მე გელაპარაკებ დრო ისე მიმდინარეობს შენს ახლოს, რომ არავითარი ძალ და გავლენა არა აქვს შენზე. მომიახლოვდი, დაგფარავ ფრთებით. საჭიროა შენც ჩემთან იმყოფებოდე და ხედვიდე, როგორი გავლენა ექმნება ჩემს თხოვნას. მაგრამ შენ კი უხილავად იქმნები.

დაასრულა რა ეს სიტყვები ანგელოზმა, ჭაბუკმა იგრძნო, რომ მძლავრმა ფრთებმა აიტაცეს ჰაერში და გააქროლეს სივრცეში. ერთის წუთის განმავლობაში გაჩნდა ტყეში, დაჩრდილულ ბილიკზე, ანგელოზის გვერდით მიმავალი. აგერ შემოხვდათ ვიღაც კაცი. ჯერ მოხუცი არ იყო, მაგრამ არც ახალგაზდა დაერქმეოდა. ღრმად ჩაფიქრებულმა მხოლოდ მაშინ აიხედა, როცა ანგელოზმა თავის შავ ფრთებით გზა გადუღობა. მგზავრი შეშინდა, მაგრამ თავს ძალა დაატანა და ჰკითხა დიდებულად:

— მგონი გცნობ და სიამოვნებითაც გხედავ, რომ ძლიერ მიემსგავსები იმას, როგორიც წარმოდგენილი მყავდი. მაგრამ ასე მალე რად მომძებნე?

— გაგებული მაქვს,—წარმოსთქვა ანგელოსმა:—რომ მთელი შენი სიცოცხლე ჩემზე ფიქრში გაატარე, ელოდე ჩემ შეხვედრას და ჩემს ჯეროვანად მიღებას. ვიცი ისიც, რომ ერთად-ერთ სასურველ მდგომარეობად მიგაჩნია არ



გურია.—ბახმარო. ქვედა ბაზარი.

არსებობა. ეს სურვილი ყოველ კაცთანა მყოფია. მაშ გიხაროდეს: ერთის საათის შემდეგ მიაღწევ საწადელს...

მგზავრმა ღრმად ამოიხვნეშა.

— საკმაოა,—განაგრძო ანგელოზმა:—ერთის სიტყვის წარმოთქმა, რომ ამ წუთშივე, დაუყოვნებლივ გაჰქრე და აღარ არსებობდე, ე. ი. გარდიქმნე იმად, რაც მიგაჩნია არარაობად. მაშ მაჩუქე ეს ერთი საათი, რომელიც სხვა არა არის რა შენთვის, თუ არ უსიამოვნო დრო და ხანის დაყოვნება. მაჩუქე იმ არსებისათვის, რომლისთვისაც იგი დიდს ბედნიერებას შეადგენს...

— მაგაზე არაფრის გულისთვის არ დავთანხმდები!—განაცხადა ფილოსოფოსმა თავაზიანად:—იქნება სწორედ ამ უკანასკნელ საათს ჩემს ცხოვრებაში უკედ და გადაწყვეტით მოვახერხო ახსნა-გამოკვლევა ქვეყნიურის ამოცანისა. ეს ისეთ შესაძლოდ მიმაჩნია, რომ არ შემიძლიან დავსთმო ეს უკანასკნელი საათიც. გარდა ამისა, ვგონებ, რომ მთელი საუკუნე, რომელიც მინიჭებია ადამიანს სანეტარო მდგომარეობისათვის, ისედაც არ არის ხანგრძლივი, ამიტომ მსურს, რომ მოსვენებით, დამშვიდებულად განვაგრძო ჩემი გზა. იყავ იმდენად კეთილი, ნუ მომევლინები იმაზე ადრე, ვიდრე წერა ანუ ღმერთი თუნდ, ქვეყნიური სული — ამას მალე გამოვიკვლევ—არ გიბრძანებს.

ამ სიტყვების დასრულებისათანავე, ფილოსოფოსი გატრიალდა და ანგელოზიც განშორდა. იმ საათშივე გაჩნდნენ ოდნავ განათებულ ოთახში, სარეცელზე მწოლარე საბრალო მომაკვდავთან. ხვნეშითა და კვნესა-ვაებით შეთავდა, ტრიალებდა მოუსვენრად ტკივილებისაგან დატანჯული. ალბად მოესმა ფრთების შრიალი, რომ უეცრად ფართოდ გახელილი, შეშინებული თვალები ერთ ალაგს მიაშტერა.

— აი, მეც მოველ!—უთხრა მოფერების კილოთი ანგელოზმა.—ხშირად მიწვევდი ტანჯულ დღე-ღამეებში. შემიძლიან ახლავ, ამ წუთს ჩემთან წაგიყვანო, თუ რომ დამითმობ ერთს საათს, რომელიც კიდევ დაგრჩენია სასიცოცხლო. ეს უკანასკნელი საათი უსაშინელესია ყველა დანარჩენზე, რომელიც აქამდის გამოგივლია. უნდა უსარგებლოდ, ამაოდ ჰკლაპო ჰაერი, ცივი სინესტე მოიცავს შენს სხეულს; ეცდები დაილაპარაკო ან გადაბრუნდე, გვერდი იცვალო, მაგრამ ვერ შეიძლებ შეინძრე ანუ უთხრა გამოსათხოვარი სიტყვაც კი შენს მტირალს ცოლს და შეშინებულ შვილებს. შენ კიდევ არ იცი, რა არის სრული უმწეობა. ამ უკანასკნელ საათს გაიგებ, იგრძნობ, რომ ის ყველა წვალებაზე, რაც გამოიარე, სასტიკი, მძაფრი და უმწვავესია.

მომაკვდავმა უეცრად წამოიწია სარეცელზე, გაშმაგებულის მოძრაობით გაიქნია მკლავები, თითქო იშორებს მოჩვენებასაო და დაიყვირა:

— წადი, წადი! მოხვალ მაშინ, როცა საჭირო იქნები. მოსულიყავ ერთის წლის წინად, მადლობას გეტყოდი, ახლა კი, შევეჩვიე წვალებას და ვიცი, რომ ვცოცხლობ მაინც. დიაღ, ვცოცხლობ! გარდა ამისა, ეს არის ახლა დავიბარე გამოჩენილი ექიმი, ამ საათში აქ გაჩნდება და თუმცა დანარჩენმა მრავალზე უმრავლესმა ექიმმა ვერ მიშველა, მაგრამ ეგება იმან მიშველოს... მაშ გამშორდი, გამეცალე!

ქალს ის იყო ჩასძინებოდა ავადმყოფის სარეცლის ახლოს, გაეღვიძა ამ ყვირილზე და მოეხვია ავადმყოფს. ბავშვები შეშინებულნი შემოცვივდნენ მეორე ოთახიდან. ანგელოზი განშორდა იმ ადგილსაც.

ანგელოზი ჭაბუკითურთ ახლა მთის ძირში გაჩნდნენ, ნისლით დაბურულ ვაკე ადგილზე. იქვე ღარიბ ქოხის წინ იჯდა ღრმად მოხუცი უსინათლო ქალი, სრულიად განმარტოებული.

— ვინ არის აქა?—წაიჩურჩულა მოხუცმა უსიცოცხლო, დანაოჭებულის ტუჩებით.

— მე ვარ, სიკვდილის ანგელოზი!

მოხუცს გაეღიმა და იკითხა.

— განა დროა, რომ მოვკვდე?

— აკი ხშირად საყვედურობდი, რომ დაგვიწყე და არ მოგხედე. დიდ გაჭირვებასა და მწუხარებაში განვლე ასი წელი, შენის თვალით იხილე, შენი შვილები როგორ ჩაესვენენ საუკუნოდ საფლავში. შვილი-შვილთ, ქვეყნად გამრავლებულთ, შენ არც კი ახსოვხარ, ყველასაგან მივიწყებული, მიტოვებული ხარ და ამასთანავე აღარც თვალი გაქვს. ჰოდა, აი, მეც მოველ, მოგხედე ბოლოს. განა არ გახარებს ჩემი მოსვლა?

მაგრამ მოხუცი ისევ ჩურჩულებდა:

— ნუ თუ დროა, განვეშორო ამ ქვეყნიურ ცხოვრებას? ნუ თუ დროა?

— არა, ერთი საათი კიდევ დაგრჩენია იცოცხლო, მაგრამ რად გინდა? გთხოვ, ის საათი მაჩუქო იმ არსებისათვის, ვისთვისაც შენზე უფრო უძვირფასესია. სულ ერთია, ამ უკანასკნელ საათს ხომ არც ერთი სულიერი არსება არ მოვა შენთან, არც გამოგართმევს ხელს და დაიჭერს თავისაში, არც არავინ თვალებს დაგიხუჭავს უკანასკნელად. არ შეგიძლიან ამომავალ მზის დანახვაც კი, რაღას მოელი?

მოხუც ქალს მუხლები ჩაეკეცა და აჩოქილმა დაუწყო ვედრება:

— მაჩუქე ეს ერთი საათიც, ხომ ჩემია, რაც უნდა იყოს! რა გინდ მწუხარედ, სიმარტოვეში განვლო ჩემი სიცოცხლე, ხომ იქ, სადაც უნდა გადავესახლო, უფრო წყვდიადი და მწუხარებაა. დამანებე თავი, სიკვდილის ანგელოზო, ნუ მომევლინები, სანამ დრო არ მოვა, სანამ არ დაჰკრავს საათი ჩემი ამ ქვეყნიდან განშორებისა.

ისევ გააქროლა ანგელოზმა ჭაბუკი და განშორდა იმ ალაგსაც.

უეცრივ გაჩნდნენ ვიწრო ოთახში ხის მაგიდასთან, რომელზედაც იდგა ორი ანთებული სანთელი, იჯდა კაცი გაფითრებულის სახით, ჯაჭვით შებორკილ ხელ-ფეხით. ხარბად



გურია.—ბახმარო. საბალახო მინდორი.

გასცქეროდა მავთულებიან სარკმლიდან სადღაც შორს... იგი ოცნებას გაეტაცნა.

ამ კაცსა და სარკმლის შუა გაჩნდა ანგელოზი. პატიმარმა სწრაფად გადისვა თავზე ხელი, დააპირა წამოდგომა და ჯაჭვებმა გაიხმაურეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა



თოვლქვეშ მოყოლილი მატარებელი.

— რა გინდა? განა დროა?—შეჰყვირა პატიმარმა ჩახლეჩილის ხმით.

— შემიძლიან გაგანთავისუფლო,—უთხრა ანგელოზმა.

— როგორ? ეხლავ, ამ საათში? ჯერ ზარის წკარუნიც არა მსმენია, მეტად ადრე მოხველი!

— მართალი ხარ!—დაეთანხმა ანგელოზი.—ერთი საათის შემდეგ უნდა გაწამონ იმისთვის, რომ საკუთარი შენი დედა მოჰკალი, მაგრამ თუ დამითმობ შენს უკანასკნელ საშინელს საათს სხვისთვის, ვისაც უკედ შეუძლიან გამოიყენოს, მზად ვარ ახლავ წაგიყვანო. თუ არა და, ამ წუთსავე გაიგონებ, როგორ დაიწყებენ სახრჩობელის ამართვას, როგორ გაიჭრაჭუნებს საპყრობილეს კარი, რომ გაატარონ ხალხი, შენის წამების საცქერად მოსული. შენი ვიწრო სატუსაღო კარიც უკანასკნელად გაიღება, იქავ იდგება ჯალათი, აგიყვ ვიწრო კიბით სახრჩობელაზე, სადაც მოგესპობა სიცოცხლე საზარლად.

— გამშორდი, გამშორდი! — დაუყვირა პატიმარმა.—თუ მსურვებოდა ჩემი სიცოცხლის თუნდ მცირე ნაწილის დათმობაც კი, ადრევე თავს მივახლიდი ამ კედლებს და გათავდებოდა ყველაფერი. მაგრამ არ მინდა! არა, არა მსურს! მინდა მესმოდეს ჭახა-ჭუხი ჩაქუჩებისა, ჭრაჭუნი ალაყაფის კარებისა, მინდა ავემართო ამ ჩემის ფეხებით ვიწრო კიბეზე —სახრჩობელაზე, მსურს ვხედავდე საცქერლად მოსულ ხალხს, მსურს მესმოდეს, როგორ დაიწყებენ ჩურჩულს მაყურებელნი და, დასასრულ, მინდა უკანასკნელად კიდევ შევხედო ცას, სანამ წავიდოდე იქ, სადაც ვეღარც ვისმენ და ვეღარც ვიხილავ! გარდა ამისა, გამიგონია, რომ ერთ ვინმეს მკვლელს მშობლებისას, სწორედ იმ დროს, როცა სახრჩობელაზე თოკი მობმული ჰქონდა—აპატიესო. და თუნდ უძირო, ბნელ ორმოშიაც ჩამაგდონ, მთელი სიცოცხლე მარტო გამხმარპურით, ვირთაგვებით და ცარიელი წყალით ვიკვებებოდე, მზეც არ დამანახონ თვალით, მაინც კიდევ ამას ვირჩევ ცოცხალი, ვიდრე გრაფობას, მკვდარი. მაშ დაიკარგე უბედურო, დაწყევლილო მოჩვენებავ, გამეცალე!

ისევ ისმოდა ჭაბუკის ყურში ტუსაღის წყევლა-კრულვა, როცა ანგელოზთან ერთად გაჩნდა მშვენიერ პატარა ოთახში, პატარა ვარდის ფერ ლამპრით გაშუქებულს კუთხესთან, სადაც იჯდა ორი ახალგაზდა ქალ-ვაჟი, ერთმანეთის მოტრფიალე. ქალმა შენიშნა მოჩვენება და ღიმილით ჰკითხა:

— შენ სიყვარულის ანგელოზი ხარ?

— არა. სიკვდილის ანგელოზი ვარ, მოველ შენის წადილის ასასრულებლად: შემიძლიან ამ ბედნიერს წუთებში მყოფი წაგიყვანო.

— ამასთან ერთად?—ანიშნა ყმაწვილზე.

— არა, მარტო შენ.

— არა, არა მსურს!—ჩაილაპარაკა ქალმა.

— არ ისურვებ არც მაშინ, როცა გეტყვი, რომ ერთის საათის შემდეგ უეჭველად გელის სიკვდილი?

— ერთის საათის შემდეგ?

— ჰო, ეგრე გიწერია. მაშინ დარჩები სრულიად მარტო და ამაოდ გაიწვდი ხელს სატრფოსაკენ. გეუბნები მართალს, ნუ გგონია, მოლანდება, ბოდვა... რა ახალგაზრდა ხარ!

ქალმა ყმაწვილის ხელს გაყინული თითები მოუჭირა:

— არ მინდა მოვკვდე, არ მინდა!

ყმაწვილმა ღიმილით ჰკითხა:

— რა იყო, ჩემო კარგო?

სიკვდილის ანგელოზმა ხელ-ახლა დაილაპარაკა:

— სიხარულით დამითმობ ამ საათს, როცა გეტყვი, რომ ვისარგებლებ ამ საათით ერთ-ერთ შენ დისათვის ამ ქვეყნად. იმასაც შენებრ უყვარს და კვდება ისე, გაუგებარი რჩება იმისთვის, რომ თვით ის უყვართ და თანაუგრძობენ.

— არ დავთმობ!—იუარა ქალმა:—მართალია, მწადდა ნეტარებაში მყოფს სიკვდილი, სანამ შორს იყავ, მაგრამ ახლა, როცა გხედავ ჩემს წინაშე მდგომარეს, მწადს სიცოცხლე თუნდ ერთის საათით, თუნდ მარტოც, უსიყვარულოდ.

მაშინ ანგელოზმა ისევ აიყვანა ჰაერში ჭაბუკი და უთხრა:

— ახლა კი დაგაბრუნებ ისევ შენს ბინაზედ.

მაგრამ ჭაბუკი სასოწარკვეთილებას მიეცა, მოეკოწიწა ანგელოზს ორივ ხელებით და წამოიძახა:

— ნუ მიმატოვებ! სიუხვე ქვეყნიური დიადია და სადმე ამ ქვეყნად ნუ თუ არ მოიძებნება ისეთი კუნჭული, სადაც მოიპოვებოდეს ის ერთი საათი, რომელიც მესაჭიროება და ომელსაც ხელ-ახლა გთხოვ და გემუდარები!




აფსუს, რომ ახალთ-ახალი მუნდირი აღარ გამადგება!

— მაშ კარგი. მაგრამ ახლა რჩება დედა-მიწაზე მხოლოდ ერთი-ღა კაცი, რომელსაც შეუძლიან მოგვცეს ეს საათი და თუ იმანაც ვერ გაიმეტა, ვერ დასთმო, უფრო მძიმე იქმნება

შენთვის. ის ერთად-ერთი კაცი ხომ შენა ხარ! ამ ერთი საათისთვის უნდა გაიწირო შენი სიცოცხლე.

— მაშ წაიღე ჩემი სიცოცხლე! — სიხარულით შესძახა ყმაწვილმა.

— მომისმინე: სიცოცხლე, რომელიც მოგელის, არის წვალებისა, მარტოობისა, სნეულებისა, მაგრამ რადგან თანახმა ხარ შესწირო ეგ სიცოცხლე, მაშ იცოდე, რომ სწორედ ერთი საათის შემდეგ ისედაც გელოდა სიკვდილი, ერთი საათის შემდეგ შენც გადაესახლები ამ ქვეყნიდან, მასთან ერთად, ვინც გიყვარს.

— გმადლობ, კეთილო ანგელოზო! — შესძახა ჭაბუკმა, — მაშ ჩემი ნატვრა ასრულებულა. — ამ სიტყვებთან ერთად გაჩნდა ისევ მომაკვდავის სარეცელთან და განაგრძო მასთან ლაპარაკი: ეუბნებოდა, რომ დაუსრულებელის, ღრმა სიყვარულით უყვარს...

მაგრამ ამ დროს მომაკვდავს თვალები დაეხუჭა, გულის ფიცარი დაბლა დაეწია. ყმაწვილი გაფაციცებით უცდიდა იმის შემოხედვას, უცდიდა იმის სულის ამოთქმას, მაგრამ ამაოდ იგი ველარც ხედავდა, ველარც სუნთქავდა — ყოველივე გათავდა. აღშფოთებული ყმაწვილი დაემხო თვით სარეცელის ნაპირზე და საყვედურის ხმით, შესძახა:

— სიკვდილის ანგელოზო, რად მომატყუე?

ანგელოზმა კი, სარეცელის თავით მდგომმა, მიუგო:

— საბრალო ბავშვო! ნუ თუ გგონია, რომ ძალ-გიძს დაინახო შენის გულის სიღრმის ის კუნჭული, სადაც ბობოქრობენ ნამდვილი წრფელი შენი სურვილები? როცა ხელ-მეორედ შევხვდებით ერთმანეთს, მაშინ მე დაგეკითხები: — მართლა მე მოგატყუე დღეს, თუ შენვე მოატყუე შენი თავი?

**ნატალია გიგაური.**







ქართული ენის გაკვეთილი ერთ გიმნაზიაში.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ზ. ჯაბადარი